



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება
სამართლებრივი აქტის პროექტის
განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 22

1 აგვისტო, 2017 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი
„საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით
საქართველოს კანონის პროექტების „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების
შეტანის თაობაზე“ და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“
საქართველოს პარლამენტში წარდგენის თაობაზე“.
(№09-01-08/50, 27.07.2017წ.)

დასახელება

უმაღლესი საბჭოს წევრები:
დ. გაბაიძე, ნ. ჩხეტია, ვ. წულაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭო

ავტორი

ინიციატორი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია

წამყვანი კომისია

27.07.2017 წელი

წამყვანი კომისია: 25.08.2017 წ.
სხვა კომისიები: 23.08.2017წ.

საშემოდგომო სესია

შემოსვლის თარიღი

საკომისიო მოსმენის ვადა

სხდომაზე განხილვის თარიღი

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია

კომისია რომლის დასკვნა სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიუროს ადგენს:

უმაღლესი საბჭოს კომისიებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის
პროექტის განხილვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დავით გაბაიძე



საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენიშვილის ქ. №25

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს
ბატონ გიორგი ბერიძეს

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 94-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტს – „საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს კანონის პროექტების „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტში წარდგენის თაობაზე“.

გთხოვთ, დადგენილების პროექტს მისცეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული მსვლელობა.

დანართი: 18 ფურცელი

პატივისცემით,

დავით გაბაიძე

ნინო ჩხეტია

ვახტანგ წულაძე

წ. კახიძე
წ. ჩხეტიძე
წ. წულაძე



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო
ინიციატივის წესით საქართველოს კანონის პროექტების „გრანტების შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს
საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს
პარლამენტში წარდგენის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს წარედგინოს საქართველოს კანონის პროექტები: „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“.
2. წარდგენილ კანონპროექტებზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლებად დაინიშნონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები დავით გაბაიძე, ნინო ჩხეთია და ვახტანგ წულაძე.
3. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დავით გაბაიძე

ჩაქვი,
2017 წლის
№

ნ. ჩხეთია

ნ. ჩხეთია

ნ. ჩხეთია

საქართველოს კანონი

„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.07.96, გვ. 11) მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,
2017 წლის
№

ნ. აბოშაძე



განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე – „გრანტების შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია გრანტის მიმღებთა ჩამონათვალი, რომელთა შორისაც გრანტის მიმღებ სუბიექტებად გათვალისწინებულია საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოები დარჩენილი არიან აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციის მიღმა.

ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოების მიერ გრანტების პირდაპირი მიღების უფლებამოსილების შემთხვევაში მიეცემა შესაძლებლობა საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, სოციალური პროექტების, აგრეთვე საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის ოპერატიულად მიიღონ მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რაც აამაღლებს ავტონომიური რესპუბლიკების სახელისუფლებო ორგანოების როლსა და მნიშვნელობას და ხელს შეუწყობს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონმა გრანტების მიღების ნაწილში სამართლებრივად მოიცვას ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოები.

აღსანიშნავია, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების – სამინისტროების გრანტის გამცემ სუბიექტთა ჩამონათვალში დამატების კუთხით საქართველოს პარლამენტში უკვე ინიცირებულია და განხილვის პროცესშია კანონის პროექტი „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (№07-2/482, 05.05.2016. ინიციატორი: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო), რომლის შესაბამისადაც, ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტრო შეიძლება იყოს გრანტის გამცემი.

პარლამენტში 2016 წელს ინიცირებული და ამჟამად წარდგენილი კანონპროექტები ავტონომიურ რესპუბლიკებთან მიმართებაში საკანონმდებლო დონეზე ერთიანობაში მოაწესრიგებს გრანტების გაცემისა და მიღების საკითხებს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია, ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოების მიერ გრანტის მიღების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტის შესაბამისად, ცვლილება შედის „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტში, რომლითაც გრანტის მიმღები საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გარდა, ასევე შეიძლება იყოს ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოც.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან ჩნდება იმის შესაძლებლობა, რომ ავტონომიურმა რესპუბლიკამ გრანტების სახით მოიზიდოს დამატებითი შემოსავლები.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, ვინაიდან ჩნდება იმის შესაძლებლობა, რომ ავტონომიურმა რესპუბლიკამ გრანტების სახით მოიზიდოს დამატებითი შემოსავლები და შესაბამისი მიზნობრიობით მოახდინოს მათი გაცემა.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

ვინაიდან გრანტის მიღება განხორციელდება კონკრეტული მიზნობრიობით, კანონპროექტი დადებით გავლენას მოახდენს შესაბამისი მიზნობრივი ჯგუფების ფინანსურ შედეგებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის და მოსაკრებლის დაწესებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

აღნიშნული კანონპროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ;

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები – დავით გაბაიძე, ნინო ჩხეთია და ვახტანგ წულაძე.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის იმ მუხლის მოქმედი სრული რედაქცია,
რომელშიც წარმოდგენილი კანონის პროექტით შედის ცვლილება

მუხლი 4. გრანტის მიმღები

გრანტის მიმღები შეიძლება იყოს:

- ა) საქართველოს სახელმწიფო საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ უფლებამოსილი ორგანოს (ორგანიზაციის) სახით;
- ბ) საქართველოს მთავრობა საქართველოს მთავრობის მიერ უფლებამოსილი ორგანოს სახით;
- გ) საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო;
- დ) საქართველოს რეზიდენტი ან არარეზიდენტი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, მისი წარმომადგენლობა, ფილიალი, განყოფილება;
- ე) საჯარო სამართლის იურიდიული პირი;
- ვ) საქართველოს მოქალაქე;
- ვ¹) პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირი;
- ვ²) უცხო ქვეყნის მოქალაქე – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის/კონკურსების მიზნებისთვის;
- ზ) აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;
- თ) საერთაშორისო ორგანიზაცია, სხვა სახელმწიფოს სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;
- ი) „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე იურიდიული პირი;
- ი¹) საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტი – „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინოვაციური საქმიანობის განსახორციელებლად საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ გაცემული გრანტის შემთხვევაში;
- კ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი;
- ლ) საქართველოს ბიზნესომბუდსმენი.

საქართველოს კანონი

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში
ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №47, 28.12.2009, მუხ. 361) მე-100 მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ¹“ ქვეპუნქტი:

„ვ¹) დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებულ პროექტებს;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,
2017 წლის
№

ნ. აბგაძე

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე – „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში
ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

კანონპროექტის მიღება გამომდინარეობს „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებიდან, რომლის შესაბამისად, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს ენიჭება გრანტის მიღების უფლება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 ნაწილში, სადაც მოცემულია იმ აუცილებელი ინფორმაციის ჩამონათვალი, რომელსაც უნდა შეიცავდეს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მიმართ კოდექსით გათვალისწინებული აუცილებელი ინფორმაციის სახით თანდართული ინფორმაციისა) ემატება, რომ ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას – დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებულ პროექტების შესახებ.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

გამომდინარე იქედან, რომ „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილების პროექტით ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს ენიჭება გრანტის მიღების უფლება, წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია გაფართოვდეს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული იმ აუცილებელი ინფორმაციის ჩამონათვალი, რომელსაც უნდა შეიცავდეს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტის შესაბამისად, ცვლილება შედის საბიუჯეტო კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 ნაწილში და ემატება, რომ ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებული პროექტების შესახებ.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;
კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;
ასეთი არ არსებობს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);
კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის და მოსაკრებლის დაწესებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

აღნიშნული კანონპროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ;

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები – დავით გაბაიძე, ნინო ჩხეტია და ვახტანგ წულაძე.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის იმ მუხლის მოქმედი სრული რედაქცია,
რომელშიც წარმოდგენილი კანონის პროექტით შედის ცვლილება

მუხლი 100. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის წარდგენა

1. ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე არა უგვიანეს 1 ნოემბრისა წარუდგენს უმაღლეს საბჭოს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად.

2. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტთან ერთად ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინება ბიუჯეტის პროექტის შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი.

3. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებს, ნაშთის ცვლილებას და თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას საბიუჯეტო კლასიფიკაციის შემდეგი მუხლების მიხედვით:

ბ.ა) ხარჯები, მათ შორის, შრომის ანაზღაურების მიზნით გამოყოფილი ასიგნებები;

ბ.ბ) არაფინანსური აქტივების ზრდა;

ბ.გ) ფინანსური აქტივების ზრდა;

ბ.დ) ვალდებულებების კლება;

გ) მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას ხარჯების და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით;

დ) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას;

ე) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობას პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით;

ვ) სარეზერვო ფონდის მოცულობას;

ზ) პრიორიტეტებს, რომელთა ფარგლებშიც მხარჯავი დაწესებულებები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებით ახორციელებენ პროგრამებს/ქვეპროგრამებს, მათ აღწერას და მიზნებს.

4. წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტის თანდართული მასალები მოიცავს:

ა) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზების შესახებ;

ბ) მიმდინარე წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;

გ) წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს.

დ) დამატებით ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;

ე) ინფორმაციას ამ კოდექსის მე-6 მუხლის „ბ¹.ბ“ და „ბ².ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი წყაროდან მისაღები შემოსულობების, ამ წყაროებიდან გასაწევი გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ.

5. ამ მუხლის მე-3 ნაწილში მოცემული ინფორმაცია, გარდა იმავე ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა, წარდგენილი უნდა იყოს გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის.

6. ამ მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია წარდგენილი უნდა იყოს დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის.

7. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი თანდართული მასალებით და ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს წარმომადგენლობით ორგანოში წარდგენისთანავე.

8. ამ კოდექსის მე-6 მუხლის „ბ¹.ბ“ და „ბ².ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტები მტკიცდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა
კომისიის თავმჯდომარეს, ქალბატონ ნინო ჩხეტიას

ქალბატონო ნინო,

თქვენი მიმდინარე წლის 27 ივნისის N09-02-16/603 წერილით წარმოდგენილ
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მომზადებულ
„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და
„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს
კანონის პროექტებთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გაგვანია.

პატივისცემით,

შალვა თადუმაძე

საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი

N23210

24.07.2017წ





2867-01-10-2-201707060959



N 01-10/2867

06/07/2017

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა
კომისიის თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ჩხეტიას
(დაბა ჩაქვი, მეგენიშვილის ქ. N25)

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ თქვენი 2017 წლის 27 ივნისის N09-02-16/601 წერილით
წარმოდგენილ „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“
და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს
კანონების პროექტებთან დაკავშირებით შენიშვნები არ გაგვაჩნია და მივიჩნევთ, რომ
„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში აღნიშნული ცვლილების შეტანა დადებითად
აისახება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის სამშენებლო ნაწილზე.

პატივისცემით,

რამაზ ბოლქვაძე

მინისტრი



N 1223/02
07/07/2017

1223-02-2-201707070929



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ
და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო ჩხეტიას

ქალბატონო ნინო,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში შემოსული, თქვენი
2017 წლის 27 ივნისის N09-02-16/602 წერილის პასუხად, რომლითაც წარმოდგენილი იქნა
„გრანტების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და
„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს
კანონების პროექტები, გაცნობებთ, რომ მხარს ვუჭერთ წარმოდგენილ პროექტებს და
განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით

გოჩა ჯაში

მთავრობის აპარატის უფროსი



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე
Аԥснытәи Автономиятәи Ареспублика Аиҳабыра Ахантәады
CHAIRMAN OF THE GOVERNMENT OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA

1725-01-2-201707101710



N 01/1725

10/07/2017

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო,
იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა
კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო ჩხეტიას

27.06.2017
N09-02-16/600-ზე

ქალბატონო ნინო,
გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოში
მომზადებულ „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“
და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს
კანონის პროექტების მიმართ შენიშვნები არ გაგვაჩნია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გიგზავნით აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის წერილს თანდართული დოკუმენტაციით.

დანართი: დოკუმენტი N2981/01, 24 ფურცელი (ასლი).
პატივისცემით,

ვახტანგ ყოლბაია

თავმჯდომარის მოვალეობას შემსრულებელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი



საქართველო
КЫРТҰҢЛА

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა
ИУСТИЦИИ ДЕПАРТАМЕНТИ

Аԥснытәи Автономтә Ареспублика
АИУСТИЦИЯ АДЕПАРТАМЕНТ

N 237/01
07/07/2017

237-01-2-201707071454



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ ვახტანგ ყოლბაიას

ბატონო ვახტანგ,

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტში, თქვენი რეზოლუციის შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატიდან 2017 წლის 4 ივლისის #01/1666 წერილით წარმოდგენილ იქნა: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი „საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს კანონის პროექტების „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“; თანდართული: „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი; ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ნინო ჩხეტიას წერილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის სახელზე, ზემოაღნიშნული პროექტების განხილვასთან და წინადადებების წარდგენასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულ კანონის პროექტებთან დაკავშირებით მოგახსენებთ, შემდეგს:

როგორც წარმოდგენილი „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის განმარტებითი ბარათიდან ირკვევა, პროექტით ცვლილება შედის „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტში, რომლითაც განსაზღვრულია გრანტის მიმღები სუბიექტები. ვინაიდან, გრანტის მიმღებთა ჩამონათვალში ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოები დარჩენილი არიან აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციის მიღმა, წარმოდგენილი

პროექტით, გრანტის მიმღებ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გარდა, შეიძლება იყოს ასევე ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოც, რამეთუ, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოების მიერ გრანტების პირდაპირი მიღების უფლებამოსილების შემთხვევაში, მათ მიეცემათ შესაძლებლობა საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, სოციალური პროექტების, აგრეთვე საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის ოპერატიულად მიიღონ მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რაც აამაღლებს ავტონომიური რესპუბლიკების სახელისუფლებო ორგანოების როლსა და მნიშვნელობას და ხელს შეუწყობს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას.

რაც შეეხება „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტს, განმარტებითი ბარათიდან ირკვევა, რომ კანონპროექტის მიღება გამომდინარეობს ზემოაღნიშნული „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებიდან, რომლითაც ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს ენიჭება გრანტის მიღების უფლება. ამდენად, წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია გაფართოვდეს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული იმ აუცილებელი ინფორმაციის ჩამონათვალი, რომელსაც უნდა შეიცავდეს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი.

ამასთან, „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის განმარტებითი ბარათით ირკვევა, რომ საქართველოს პარლამენტში უკვე ინიცირებულია და განხილვის პროცესშია კანონის პროექტი „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (№07-2/482, 05.05.2016.), რომლის ინიციატორია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და რომლის შესაბამისადაც, ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტრო შეიძლება იყოს გრანტის გამცემი.

ზემოაღნიშნული განმარტების საფუძველზე, ჩვენს მიერ მოძიებული და შესწავლილ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ინიციატივით 2016 წლის 5 მაისს საქართველოს პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში შეტანილი ცვლილებით, გრანტის გაცემის უფლებამოსილება ენიჭება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებს. აღნიშნულის შესაბამისად კი იცვლება ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი და ყალიბდება ახალი რედაქციით, რომლის თანახმადაც - „2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში გრანტის გაცემის შესახებ დოკუმენტის პროექტს მის გაფორმებამდე საქართველოს შესაბამისი სამინისტრო განსახილველად წარუდგენს საქართველოს მთავრობას, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტრო - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, გრანტის გაცემის მიზნის, გრანტის მოცულობისა და სახსრების გამოყენების კონკრეტული მიმართულების წინასწარი შეფასებისათვის, საქართველოს მთავრობის/აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სამართლებრივი აქტით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით.“

როგორც ამავე კანონპროექტის განმარტებითი ბარათიდან ირკვევა, ცვლილების შემთხვევაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს უფლებამოსილების ფარგლებში მიეცემა შესაძლებლობა საგანმანათლებლო და სპორტული პროექტების, სახელმწიფოებრივი და/ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამებისა და სოციალური პროექტების და სხვა კონკრეტული მიზნების განხორციელებისათვის გასცენ მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომელიც აამაღლებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელისუფლებო ორგანოების როლსა და მნიშვნელობას და ხელს შეუწყობს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას.

საგულისხმოა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებული, ზემოთხსენებული კანონპროექტი საქართველოს პარლამენტში განხილულ იქნა პირველი მოსმენით და ამჟამად განხილვის სტადიაშია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებული, უკვე საქართველოს პარლამენტში განხილვის პროცესში მყოფი კანონპროექტისა და ამჟამად, წარმოდგენილი აჭარის უმაღლესი საბჭოს კანონპროექტის ურთიერთშეჯერების საფუძველზე (მათ არსისა და საერთო მიზნების გათვალისწინებით), შეიძლება ვიფიქროთ, რომ წარმოდგენილი კანონპროექტების მიღების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება ავტონომიურ რესპუბლიკებთან მიმართებაში, საკანონმდებლო დონეზე გრანტების გაცემისა და მიღების საკითხების ერთიანობაში მოწესრიგება.

დანართი: 1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წერილი კანონპროექტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენის თაობაზე;

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება „საკანონმდებლო ინიციატივის წესით „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენის თაობაზე;

3-4. საქართველოს კანონის პროექტი „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ - განმარტებითი ბარათი;

5. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „წინა მოწვევის პარლამენტში განსახილველად წარდგენილი კანონპროექტის განხილვის პროცედურის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ“.

პატივისცემით,
იგორ კოპალიანი



დეპარტამენტის თავმჯდომარე



საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

28/07/2017

N 2107

2107-0902-11-3-201707281439



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

და ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე
„საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის
წესით საქართველოს კანონის პროექტების „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში
ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტში
წარდგენის თაობაზე“ (რეგ N 09-01-08/50. 27.07.2017წ)

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-80 მუხლის
მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის
იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი
„საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის
წესით საქართველოს კანონის პროექტების „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების
შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტში წარდგენის თაობაზე“ და მისგან გამომდინარე
საქართველოს კანონის პროექტები.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი პროექტები შეესაბამება აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ
მოთხოვნებს.

პატივისცემით,

მაია ხაჯიშვილი

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი

